ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის
პანონთა და განკარგულებათა კრებული
სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1934 წ. ივლისის 25 № 17 ტფილისი

34(05)
L-29.

შინაარსი

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

153. მარცვლოვანი თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების და გალეწვისა, ნაპურალის (ნაწვერალის) აოშვისა და საშემოდგომო კულტურებისათვის მიწის მოხვნის ორგანიზაციის შესახებ.

154. ოთხფეხი საქონლის საკვები, 1934 წლის მოსავლის, ბალახის თესლის აკრეფისა და დაგროვების გეგმის შესახებ.

155. ბამბის მოსავლისა და მთლად ანაკრეფი ბამბის რაოდენობის გამორკვევის შესახებ.

1548

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

153. დადგენილება ს.კ.ხ და ს.კ.პ.(ბ) ც.კ.

მარცვლოვანი თავთავიანი კულტურების მოხავლის აღების და გალეწვისა, ნაპურალის (ნაწვერალის) აოშვისა და საშემოდგომო კულტურებისათვის მიწის მოხვნის ორგანიზაციის შესახებ.

მარცვლოვანი თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების და გალეწვისა, ნაპურალის (ნაწვერალის) აოშვისა და საშემოდგომო კულტურებისათვის მიწის მოხვნის წარმატებით ჩატარების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

I. მარცვლოვანი თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება.

1. მცვენელი ჯიშების ხორბლის („უკრაინკა“ და „კოოპერატორკა“) მოსავლის აღება ჩატარებულ იქნეს სანთლის ფრად მოწევნის სტადიაში, ხოლო დანარჩენი უცვენელი ჯიშებისა („დოლის-პური“, თავთუხი, დიკა) სრული სიმწიფის სტადიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსავლის აღება დაწყებულ იქნეს პურეულის ყველა ნაკვეთზე საერთო მომწიფების დაუცდელად, და თვითეული ნაკვეთი მოიმკას მასზე პურეულის მომწიფების მიხედვით. მარცვლის ჩამოცვენის თავიდან ასაცილებლად მარცვლოვანი თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება ცალკეულ ნაკვეთებზე (მომკა, ძნად შეკვრა, დაზვინება, გალეწვის ადგილზე (კალოზე) მიზიდვა) დამთავრებულ უნდა იქნეს 3-4 დღის განმავლობაში; მოსავლის აღება თვითეულ ცალკე კოლექტიურ მეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში (შირაქის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობის გამოკლებით) და ერთპიროვნულ მეურნეობებში (სოფელი) არ უნდა აღემატებოდეს 8-10 დღეს.

2. მოსავლის აღება შირაქის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობაში დამთავრდეს 13 სამუშაო დღეს.

3. დაევალოს პარტიულ რაიონულ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სამიწათმოქმედო საამმართველოს, სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს, კოლექტიური მეურნეობების გამგეობებს და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს—განსაზღვრონ მარცვლოვანი კულტურების მომწიფება ცალკეული ნაკვეთებისა და კულტურების ჯიშების მიხედვით და ამ საფუძველზე დააწესონ მოსავლის აღების დაწყებისა და დამთავრების ვადები ცალკეული საბჭოთა მეურნეობებისა, კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის (სოფლობით).

4. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ხაზით მარცვლოვანი თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების ფართობი—სატრაქტორო საწევი ძალის მეშვეობით—განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით (ჰექტარი):

1) აგარისა	2.500
2) გორისა	380
3) კასპისა	300
4) გურჯაანისა	360
5) წნორისა	2.480
6) ულიანოვკისა	1.340
7) თელავისა	450
8) ყვარლისა	900
9) ყარაიასი	420
10) ლაგოდეხისა	1.400
11) ბორჩალოსი	1.900
12) საგარეჯოსი	860

5. კომბაინებით შირაქის საბჭოთა მეურნეობაში მარცვლოვანი თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების გეგმა განისაზღვროს 9.780 ჰექტარის ფართობზე, ხოლო ალაზნის საბჭოთა მეურნეობაში—5.870 ჰექტარის ფართობზე.

6. დანაკარგებთან ბრძოლის მიზნით დაევალოს პარტიულ რაიონულ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებებს და კოლექტიური მეურნეობების გამგეობებს:

ა) შემოიღონ ყველგან თავთავების სავალდებულო მოფოცხვა ცხენიანი და ხელით სახმარი ფოცხებით, აგრეთვე თავთავის ხელით მოგროვება მთლად მოსავალ-ასაღებ ფართობებზე; ამ მუშაობაში მაქსიმალურად გამოყენებულ უნდა იქნენ ქალები და მოზარდნი;

ბ) ჩაატარონ ნათესის ნაპირების შემოცელვა; მოაწყონ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებზე და საბჭოთა მეურნეობებში შინასამეურნეო ხერხით მარცვალთმჭერთა წარმოება და მიუყენონ ეს მარცვალთმჭერები მოსავლის ამღებ მანქანებს;

გ) მარცვლოვანი კულტურების ყველა ფართობზე ჩაატარონ აუცილებლად მინდვრად ძნის კვრა, დაზვინება, მიზიდვა და დაზვინება გალეწვის ადგილას (კალო).

II. საშემოდგომო ხორბლის ჯიშიანი თესლის აღება.

1. საშემოდგომო ხორბლის „კოოპერატორკის", „უკრაინკის", „დოლის-პურის" და „გელათის" წმინდა ჯიშიანობის შემოწმებისა და შენარჩუნების მიზნით ჩატარებულ იქნეს სამინდვრე აპრობაცია 7.250 ჰექტარის ფართობზე; აქედან სახელმწიფო საჯიშო ფონდის ნათესებისა—3.000 ჰექტარზე და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ფონდის ნათესისა—3.950 ჰექტარზე.

ცალკეული ჯიშების მიხედვით განსაზღვრულ იქნეს შემდეგი სააპრობაციო ფართობები: სახელმწიფო საჯიშო ფონდის ხაზით „კოოპერატორკა"—1.713 ჰექტ., „უკრაინკა"—1.462 ჰექტ., „გელათი"—100 ჰექტ. და „დოლის-პური"—25 ჰექტ.; სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ფონდის ხაზით: „კოოპერატორკა"—3.820 ჰექტ. და „უკრაინკა"—130 ჰექტ. აპრობაცია ჩატარებულ იქნეს 7—10 დღით ადრე პურეულის მოსავლის აღების დაწყებამდე.

2. ჩატარებულ იქნეს „უკრაინკის" და „კოოპერატორკის" სასაქონლო საჯიშო ნათესების რეგისტრაცია საბჭოთა მეურნეობებში—7.000 ჰექტარზე.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—მიაწოდოს 3 დღის ვადაზე რაიონებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს აპრობაციის ჩატარების გეგმა და ინსტრუქცია და გაუწიოს მათ კონკრეტული ხელმძღვანელობა ამ მუშაობის მოწყობასა და ჩატარებაში.

4. სათესლე მასალის წმინდა ჯიშიანობის შენარჩუნების მიზნით წინადადება მიეცეს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტს და სტალინისისა, გორისა, გურჯაანისა, თელავისა, ყვარლისა, სიღნაღისა, ლაგოდეხისა, ტფილისისა, ყარაიას და ბორჩალოს რაიონების პარტიულ რაიონულ კომიტეტებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილებებსა და დირექტორებს და სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სამიწათმოქმედო სამმართველოს—უზრუნველყონ ჯიშიანი ნათესების მოსავლის აღება, ცალკე დაზვინება, გალეწვა და სახელმწიფო საჯიშო ფონდში ჩაბარება საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილ მტკიცე ვადებზე; ამასთანავე, აკრძალონ ჯიშებისა და კატეგორიების შერევა.

5. წინადადება მიეცეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქ. სსრ-ში—მისცეს სათანადო დირექტივები „საქმარცვალდამზადებას"—უზრუნველყოს სახელმწიფოსათვის პურეულის ჩაბარების წესით მიღებული ჯიშიანი მარცვლეულის ცალკე ჩაყრა და შენახვა, აკრძალოს ამ მარცვლეულის სხვა მიზნებისათვის ხარჯვა და გამოიყენოს მთლად იგი ჯიშებად გაცვლის ოპერაციებისათვის.

6. წინადადება მიეცეს გორისა და სტალინისის რაიონების პარტიულ რაიონულ კომიტეტებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებებს და დირექტორებს და სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებს—სავსებით დააბრონირონ მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობების „დოლის-პურის" ნათესების მოსავალი და გამოიყენონ იგი თესვის მიზნებისათვის საკოლმეურნეებათაშორისო გაცვლა-გამოცვლით.

III. გალეწვის მოწყობა.

1. ყველა საბჭოთა მეურნეობასა, კოლექტიურ მეურნეობასა და ერთპიროვნულ მეურნეობაში ლეწვას უნდა შეუდგენ არა უგვიანეს ხუთი დღისა მოსავლის აღების დაწყების დღიდან; ამასთანავე, პირველ რიგში გალეწილ იქნეს ადგილობრივი ჯიშები ისეთი ვარაუდით, რათა სავსებით მომწიფდეს ძნებად შეკრული „კოოპერატორკა" და „უკრაინკა".

როგორც მოსავლის აღებისა, ისე გალეწვის და შენახვის დროს არ შეიძლება „კოოპერატორკის" და „უკრაინკის" ჯიშიანი ხორბლის როგორც ერთმანეთში, ისე ადგილობრივ ჯიშებში შერევა. გალეწილი პურეულის გალეწვის ადგილიდან ბეღლებსა და საწყობებში გადაზიდვის დროს არ შეიძლება მარცვლის დაკარგვა, რისთვისაც კოლმეურნეთა შორის მობილიზებულ უნდა იქნეს მთლად ტარა-ტომრები და მოეწყოს დაუყოვნებლივ ამ ტარა-ტომრების შეკეთება და დეზინფექცია.

2. მარცვლეულის გალეწვა სამანქანო-სატრაქტორო სადგურების სალეწავებით განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით (ცენტნერ.):

1) ახალქალაქისა	7.800
2) აგარისა	27.900
3) გორისა	15.660
4) კასპისა	9.000
5) გურჯაანისა	23.300

ეროვნული ბიბლიოთეკა

6) წნორისა	81.440
7) ულიანოვკისა	28.350
8) თელავისა	17.400
9) ყვარლისა	18.160
10) ლაგოდეხისა	87.120
11) ტფილისისა	12.300
12) ყარაიას	10.580
13) ბორჩალოს	15.200
14) საგარეჯოს	14.960
15) სტალინისისა	8.000

დღიური დატვირთვა 1 სალეწავზე განისაზღვროს 126 ცენტნერი მარცვლეულით; ლეწვა დამთავრებულ იქნეს მაქსიმალურად მოკლე ვადებზე; ამასთანავე, ლეწვის დაყოვნება არ შეიძლება.

IV. მოსავლის ამღები მანქანების რემონტი და გამოყენება.

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ პურეულის ამღები მანქანების რემონტის შეუწყნარებელ ჩამორჩენას; ივნისის 1-თვის შეკეთებული იყო სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში: სატრაქტორო ძნის მკვრელი —56,1%, ცხენიანი—50,9%, სალეწავი—41,9%; კოლექტიურ მეურნეობებში: ცხენიანი ძნის-მკვრელი 78,5% და სხვა მისთ. ცელკეული რაიონებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ხაზით მეტის-მეტი დიდი ჩამორჩენა რემონტისა სატრაქტორო ძნის მკვრელებზე მოდის: წნორის სამანქანო-სატრაქტორო სადგური—33,3%, ბორჩალოს—66,7%; ცხენიანი ძნის მკვრელი: ბორჩალოს სამანქანო-სატრაქტორო სადგური—34,5%, წნორისა—20%, ლაგოდეხისა—31,8%; სალეწავები: კასპის სამანქანო-სატრაქტორო სადგური—33,3%, გორისა—10,0%, ლაგოდეხისა—9,7%.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი მიაქცევენ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა, პარტიული რაიონული კომიტეტებისა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებებისა, სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებათა გამგეებისა და საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორების ყურადღებას იმ გარემოებას, რომ შეუწყნარებლად სუსტად მიმდინარეობს რემონტი, და წინადადებას აძლევენ მათ— უზრუნველყონ მოსავლის ამღები ინვენტარის რემონტის აუცილებელი დამთავრება უახლოეს დღეებში, როგორც სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლექტიურ მეურნეობებში, ისე ერთპიროვნულ მეურნეობებში, და მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება რემონტის თვისებას. მოსავლის აღების დაწყე-

ბამდე უნდა მოხდეს მოსავლის ამღები მთელი ინვენტარის რემონტისა და ამ-ბისათვის მზადყოფნის საერთო შემოწმება.

2. წინადადება მიეცს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—უზრუნველყოს მთლად ხელთქონებული, მოსავლის ამღები ინვენტარის მიწოდება და რეალიზაცია არა უგვიანეს ივნისის 20-ისა.

3. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და პარტიულ რაიონულ კომიტეტებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებებს და საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს—შეამოწმონ ავტო-ჭაპანზიდვის ტრანსპორტის მდგომარეობა და უზრუნველყონ ერთი კვირით ადრე მოსავლის აღების დაწყებამდე ამ ტრანსპორტის მზადყოფნა გადაზიდვებისათვის.

V. მუშა-საქონლის მზადყოფნა მოსავლის აღებისათვის.

ვინაიდან მუშა-საქონლის მზადყოფნას მოსავლის აღებისათვის აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა მოსავლის აღებისა, გალეწვისა და გადაზიდვის წარმატებით ჩატარების საქმეში, განსაკუთრებით კოლექტიურ მეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში, წინადადება მიეცეს პარტიულ რაიონულ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს, პოლიტგანყოფილებებს და კოლექტიური მეურნეობების გამგეობებს—განახორციელონ შემდეგი ღონისძიებანი:

ა) 5 დღის ვადაზე შეამოწმონ და შეარჩიონ თვითეულ ბრიგადაში ძალამიხდილი და მუშაობა-უნარმოკლებული საქონელი, მთლად გაანთავისუფლონ იგი მუშაობისაგან და გადაიყვანონ დღედაღამ ძოვებაზე;

ბ) გამოყონ გამოცდილი და სანდო მენახირენი (მწყემსნი) სპეციალურად საქონლის მოვლისათვის, რომელიც დღედაღამ საძოვარზე იმყოფება, და მათი სასყიდელი განსაზღვრონ იმის მიხედვით, თუ რამდენ მუშა-საქონელს მუშაობაუნარიანად გადააქცევენ.

VI. მოსავლის დაცვა.

1. მიღებულ იქნეს შემდეგი ღონისძიებანი მოსავლის დაცვისათვის:

ა) პურეულის დაცვა დაეკისროს უშუალოდ საკოლმეურნეო სამინდვრე ბრიგადას და მის ბრიგადირს;

ბ) დაინიშნოს მინდვრებზე ღამის ყარაული მომკული პურეულის დასაცავად;

გ) მოწყობილ იქნეს მინდვრების დავლა მოსავლის აღებამდე სპეციალური მიმომსვლელი მცველების მიერ;

დ) დაცულ იქნეს მოსავალი ხანძრისაგან, რისთვისაც: მოეწყოს სალეწავ პუნქტებთან წყალსაცავები სათანადო რაოდენობის ვედროებით; ზვინები ერთი-

ერთმანეთზე ისეთ მანძილზე უნდა დაიდგას, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ხანძრო უშიშროება; თვითეულ კალოს უნდა შემოევლოს თხრილი (გარეშემო შემოხვნა); აიკრძალოს თამბაქოს წევა;

ე) შემოღებულ იქნეს აუცილებლად პურეულის აწონა (სასწვრით ან შემოწმებული საწყოთი) უშუალოდ სალეწავებთან და ბეღლებში მიღების დროს; დაწესებულ იქნეს მიღებული მოსავლის მტკიცე აღრიცხვა მოსავლის აღების ყველა სტადიაში, კერძოდ, უზრუნველყოფილ იქნეს, რათა სალეწავებიდან პურს თან წარეტანოს ბეღლამდე და მარცვალსაყრელ პუნქტამდე სატვირთო ბარათი, გაგზავნილი პურეულის რაოდენობისა, კულტურისა და ჯიშის ზედმიწევნითი აღნიშვნით; თანაც დაუყოვნებლივ შემოწმებულ უნდა იქნეს თვითეული შემთხვევა პურეულის დანაკლისისა, სატვირთო ბარათთან შედარებით, სახელმწიფო საწყობში თუ საკოლმეურნეო ბეღელში ჩაბარების დროს;

ვ) სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებმა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა და კოლექტიური მეურნეობების გამგეობებმა უნდა გამოყონ, არა უგვიანეს ივნისის 15-ისა, ბეღლები და მარცვალსაცავები კოლექტიურ მეურნეობებში პურეულის შესანახად, დანომრონ და გაუკეთონ დეზინფექცია და დაარეგისტრონ ამ ბეღლებისა და მარცვალსაცავების სია: იმ კოლექტიური მეურნეობებისა, რომელთაც მომსახურეობას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები უწევენ,—სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში, ხოლო იმ კოლექტიური მეურნეობებისა, რომელთაც სამანქანო-სატრაქტორო სადგურები მომსახურეობას არ უწევენ,—სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებში; კოლექტიური მეურნეობების ბეღლებიდან პურეულის გაცემა უნდა სწარმოებდეს მხოლოდ კოლექტიური მეურნეობის თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილი ორდერით;

ზ) რათა მოსავალი დაცულ იქნეს ქურდებისა, კულაკებისა, კულაკების დამქაშებისა და ვიგინდარების მიერ გატაცებისაგან, დაევალოს ყველა დამსჯელ-სასამართლო ორგანოს სასტიკად შეუფარდოს ხოლმე 1932 წლის აგვისტოს 7-ის კანონი—საზოგადოებრივი სოციალისტური საკუთრების დაცვის შესახებ—საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის მოსავლის ყველა მპარავს და გამტაცებელს.

2. წინადადება მიეცეს პარტიულ რაიონულ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს და პოლიტგანყოფილებებს—უზრუნველყონ, არა უგვიანეს ა/წ. ივნისის 17-ისა, მარცვლოვანი კულტურების მოსავლის აღებისა და გალეწვის გეგმების შედგენა საბჭოთა მეურნეობებსა და კოლექტიურ მეურნეობებში.

3. წინადადება მიეცეს ყველა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციას—გაშალოს დაუყოვნებლივ ფართო მასური მუშაობა და შეჯიბრება რაიონებსა, სოფლებსა და კოლექტიურ მეურნეობებს შორის სახელმწიფოსათვის პურეულის ჩაბარების გეგმების ვადამდე შესრულების ხაზით.

4. სახელმწიფოებრივ ვალდებულებათა შესრულების ანგარიშში პურეულის ჩაბარება უნდა მოეწყოს ისე, რომ ეს ჩაბარება სწარმოებდეს უშუალოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალეწავებიდან, კომბაინებიდან და კალოებიდან პირველი განალეწის სახით, და კეთილსინდისიერ კოლმეურნეთათვის შრომა-დღეებზე ავანსების მისაცემად დატოვებულ იქნეს არა უმეტეს გალეწილი პურეულის 10—15 პროცენტისა.

5. დაევალოს ყველა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციას—გაუწიოს ყოველგვარი დახმარება ერთპიროვნულ მეურნეობებს მოსავლის აღების კამპანიის წესიერად მოწყობის და წარმატებით ჩატარებისა და სახელმწიფოსათვის პურეულის ჩაბარების ვალდებულებათა შესრულების საქმეში.

VII. ნაპურალის აოშვა.

1. სარეველას მოსასპობად, მოსავლის აღებისთანავე, არა უმეტეს, ვიდრე 2—3 დღის განმავლობაში მოსავლის აღების შემდეგ ამა თუ იმ ნაკვეთზე, ჩატარებულ იქნეს ნაპურალის აოშვა ნიადაგის გადაბრუნებით 8—10 სანტიმეტრის სიღრმეზე.

აოშვა ჩატარებულ იქნეს ისეთ ნაკვეთებზე, სადაც სარეველა უფრო მოდებულია და სადაც განზრახულია 1934 წელს საშემოდგომო თავთავიანი კულტურების დათესვა.

შირაქის საბჭოთა მეურნეობაში აოშვა ჩატარებულ იქნეს 7.000 ჰექტარ ფართობზე, ხოლო ალაზნის საბჭოთა მეურნეობაში—3.000 ჰექტარზე.

კოლექტიურ მეურნეობებში ნაპურალის აოშვა ჩატარებულ იქნეს შემდეგი რაოდენობით (ჰექტ.).

რაიონები	სულ კოლექტიურ მეურნეობებში	მათ შორის კოლექტ. მეურნეობებში, რომელთაც მომსახურეობას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები უწევენ
1. გურჯაანის რაიონი.	400	400
2. სიღნაღის „	4.500	4.500
3. აქედან წნორის სამანქანო-სატრაქტორო სადგური	2.220	2,220
4. აქედან ულიანოვკის სამანქანო-სატრაქტ. სადგური	2.280	2.280
5. თელავის რაიონი.	570	570
6. დუშეთის „	100	—
7. ყვარლის „	200	200
8. ტფილისის „	620	410
9. ლაგოდეხის „	500	500
10. აღბულახის „	300	—
11. სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი.	200	100
12. საგარეჯოს რაიონი.	210	210
	7.600	6.890

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. აოშვილ მიწებზე ძირითადი ხვნა სრულ სიღრმეზე ჩატარებულ იქნეს სამი კვირის გასვლისას აოშვის შემდეგ.

VIII. საზაფხულო ხვნა.

1. ნასვენ სახნავზე (რაზედაც ჩატარებული არ არის ნასვენის აოშვა და ნაპურალის აოშვა), რომელიც დანიშნულია 1934 წელს საშემოდგომო კულტურების დასათესად, ხვნა დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს სექტემბრის 1-ისა.

ხვნის სიღრმე საშემოდგომო კულტურებისათვის ნასვენ სახნავზე (ნასვენი-ნაჩხატი) და ნაპურალზე განისაზღვროს 18—20 სანტიმეტრით; ხვნის სიღრმის შემცირება შეიძლება მხოლოდ ისეთ ნაკვეთზე, სადაც სახნავი ფენის სისქე 20 სანტიმეტრზე ნაკლებია.

2. ნასვენი სახნავისა და ნაპურალის საზაფხულო ხვნის გეგმა განისაზღვროს 69.850 ჰექტარის რაოდენობით; აქედან: კოლექტიურ მეურნეობებში, რომელთაც მომსახურეობას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები უწევენ,—13.100 ჰექტ., ერთპიროვნულ მეურნეობებში—52.990 ჰექტ., შემდეგი განაწილებით რაიონებზე:

რაიონები	კოლექტიური მეურნეობანი	მათ შორის კოლექტ. მეურნ., რომელთაც მომსახ. სამანქანო-სატრაქტორო სადგურები უწევენ	ერთპიროვნ. მეურნეობ.	სულ
1. ახალციხის რაიონი	200	—	1.900	2.100
2. სტალინისის „	340	340	270	610
3. გ ო რ ი ს „	840	840	10	850
4. გურჯაანის „	1.340	1.340	8.210	9.550
5. საღნაღის „	4.720	4.720	6.280	11.000
6. თელავის „	1.120	1.120	6.880	8.000
7. ყვარლის „	690	650	4.110	4.800
8. ლაგოდეხის „	1.360	1.360	220	1.580
9. ტფილისის „	1.710	1.710	10.210	11.920
10. დუშეთის „	1.780	—	3.500	5.280
11. აღბულახის „	370	—	3.880	4.250
12. საგარეჯოს „	150	150	3.850	4.000
13. ბაშკიჩეთის „	200	—	150	350
14. თიანეთის „	320	—	1.370	1.690
15. სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი	1.720	870	2.150	3.870

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი მოითხოვენ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებისაგან—აუცილებლად და თავის დროზე ჩაატარონ ყველა ღონისძიება (მოსავლის აღება, გალეწვა, ნაპურალის აოშვა, მოხვნა), არავითარ შემთხვევაში არ მისდიონ რიგ-რიგობას და შეათავსონ ეს სამუშაოები შრომის სწორე ორგანიზაციით, კადრების წესიერი განრიგებით და ცოცხალი საწევი ძალისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რაციონალურად გამოყენებით.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. კ.პ.(ბ) ც.კ-ის მდივანი **ლ. ბერია.**

1934 წ. ივლისის 11.
ტფილისი.

---

154. დადგენილება ს.კ.ს.

ოთხფეხი საქონლის საკვები, 1934 წლის მოსავლის, ბალახის თესლის აკრეფისა და დაგროვების გეგმის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ოთხფეხი საქონლის საკვები ბაზისის შექმნის მიზნით 1934 წლის შემოდგომაზე და 1935 წლის გაზაფხულზე საკვები ბალახის თესვის გეგმის უზრუნველსაყოფად საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა არსებული საერთო ნათესი ფართობებიდან და აგრეთვე მდგარი საკვები ბალახიდან 16.881 ჰექტარის რაოდენობით 1934 წელს გამოიყოს და დატოვებულ იქნეს სათესლეებად საუკეთესო ფართობები 7.907 ჰექტარის რაოდენობით, მეთესლეობის მეურნეობათა ნათესების ჩართვით; აქედან:

	საბჭოთა მეურნეობანი	კოლექტიური მეურნეობანი	ინდივიდუალური მეურნეობანი	ს უ ლ
ერთწლოვანი ბალახი				
1. ცერცველა საგაზაფხულო . .	185	1.320	330	1.833
2. ცერცველა საშემოდგომო . .	70	210	—	280
3. ბარდა	—	1.610	560	2.170
4. ოსპი	—	1.737	585	2.322
ს უ ლ . . .	255	4.877	1.475	6.605
მრავალწლოვანი ბალახი				
1. იონჯა	565	200	—	755
2. სამყურა	—	31	—	31
3. ესპარცეტი	200	306	—	506
ს უ ლ . . .	765	537	—	1.302
მთლად . . .	1.018	5.414	1.475	7.907

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი, სათესლეების გამოყოფისა, მოსავლის თესლად აღების და პროდუქციის საერთო გამოსავალის გეგმა დამტკიცებულ იქნეს.

3. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა დაუყოვნებლივ უნდა მიაწვდინოს თესლის აღების გეგმა სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებამდე, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებამდე და საბჭოთა მეურნეობებამდე და უზრუნველყოს სათანადო აგროტექნიკური ხელმძღვანელობით.

4. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს—მიაწვდინონ მდგარი ბალახის სათესლეებისათვის დატოვების გეგმა თვითეულ კოლექტიურ მეურნეობებამდე და ერთპიროვნულ შრომითს მეურნეობებამდე საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილ ვადაზე.

5. პასუხისმგებლობა სათესლეებად გამოყოფილი ფართობების დაცვისათვის საქონლის მიშვებით წახდენისა და თივად მოთიბვისაგან დაევალოს პერსონალურად სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—უზრუნველყოს საჭირო რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო მანქანების (დამხარისხებლები, სამკელი მანქანები, სამყურას სასრესი, კუსკუტის ამკრეფი) თავის დროზე შეზიდვა.

7. საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების აღსრულებისა და თესლის ჩაბარების შემდეგ, 1934 წ. შემოდგომაზე ჩატარებულ იქნეს საქართველოში სათესლე ფონდების დაგროვება სულ 30.798 ცენტნერის რაოდენობით, აქედან:

	საბჭოთა მეურნეობანი	კოლექტიური მეურნეობანი	ინდივიდუალური მეურნეობანი	ს უ ლ
ერთწლოვანი ბალახი				
1. ცერცველა საგაზაფხულო . .	275	5.260	1.630	7.165
2. ცერცველა საშემოდგომო . .	—	500	—	500
3. ბარდა	—	8.480	3.260	11.740
4. ოსპი	—	7.305	2.705	10.010
ს უ ლ . . .	275	21.545	7.595	29.415
მრავალწლოვანი ბალახი				
1. იონჯა	535	120	—	655
2. ესპარცეტი	—	718	—	718
3. სამყურა	—	10	—	10
ს უ ლ . . .	535	848	—	1.383
მთლად . . .	—	—	—	30.798

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მებამბეობის სამმართველოს უფროსისა და სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულის (საქ. სსრ-ში) წარმომადგენელთა შედგენილობით.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებულ ერთიანი ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს— მოაწყოს არა უგვიანეს 1934 წ. აგვისტოს 15-ისა ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის სამსახური ყარაიას და ბორჩალოს რაიონებში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. ყურულაშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1934 წ. ივნისის 22.

ტფილისი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობა

დაიბეჭდა

საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო პანონთა კოდექსი

ცვლილებით 1934 წ. ივნისის 30-მდე

ფასი 1 მან.

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ. ს.კ. ს-ოს / საქმეთა მმართველობა 1934 წ. № 33 3/მ **რედაქტორი ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ., 7/8 ბეჭდვ. ფურც., 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი
გადაეცა სტამბას 17/VII; ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/VII; ტირაჟი 1.600.

მთავლიტი ს.—№ 55 საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა. შეკვ. № 1096-ა